



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #105/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ ბეკოშვილი (სტუდენტი)

საქმის ფაქტები:

კლიენტმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა იურიდიულ ფირმასთან, რომელსაც მისი ადვოკატების მეშვეობით უნდა ეწარმოებინა კლიენტის საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში იპოთეკის ხელშეკრულებასა და გამოსახლებასთან დაკავშირებით. კლიენტის განმარტებით, ადვოკატებს არ განუხორციელებიათ აუცილებელი იურიდიული მოქმედებები. ადვოკატს არ მიუღია მონაწილეობა არც ერთ საპროცესო მოქმედებაში, არ შეუდგენია საჩივარი ან შუამდგომლობა, არ დასწრებია მისი კლიენტის დაკითხვას, არ გაუსაჩივრებია კლიენტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ გაფრთხილება და არ უწარმოებია საქმე სასამართლოში. აღნიშნული ქმედებების შედეგად, კლიენტი დარჩა დაცვის უფლების გარეშე და დაკარგა დრო. კლიენტის განმარტებით, ის ვერ უკავშირდებოდა ადვოკატს, საქმეში ჩართეს ამ ფირმის სხვა ადვოკატი, რომლის შესახებაც მას წინასწარი თანხმობა არ მიუცია. კლიენტის განმარტებით, ადვოკატი მას არ ამღებდა კვალიფიციურ რჩევებს კანონმდებლობის არასათანადო ცოდნის მიზეზით და, ასევე, კლიენტს დროულად არ მიეწოდებოდა ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატი არ დაეთანხმა საჩივრის შინაარსს და განმარტა, რომ კლიენტმა თავად დაარღვია ხელშეკრულების პირობები, არ გადაიხადა ჰონორარი, ბაჟისათვის განკუთვნილი თანხა, რის გამოც მისმა იურიდიულმა ფირმამ შეწყვიტა ამ კლიენტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება, ხოლო მის მიერ გადახდილი 800 ლარი, გამოქვითეს მათ მიერ უკვე გაწეულ მომსახურებაში. ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ კლიენტის საქმეს ამ ფირმიდან აწარმოებდა მეორე ადვოკატი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავადაც უწევდა იურიდიულ მომსახურებას კლიენტს.

პროცესუალური ისტორია:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.1, 6.2, 5(ა), აპკ-ის 8.5 და 8.6 მუხლების დარღვევის საფუძველით.

სამართლებრივი შეფასება:

განხილვის კოლეგიამ არ გაიზიარა საპროცესო კოლეგიის მიდგომა და მიიჩნია, რომ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების 3.2.10. მუხლი არ არღვევს დაცვის უფლების გარანტირებულობას და არ ზღუდავს მოსარჩელის კანონიერ უფლებას დაცვის უფლების განსახორციელებლად, საკუთარი უფლების დასაცავად მიმართოს სხვა ადვოკატს. იგი მხოლოდ ავალდებულებს მოსარჩელეს სხვა ადვოკატის აყვანა აცნობოს ან შეუთანხმოს ფირმას. ასევე ხელშეკრულება გაფორმებულია იურიდიულ კომპანიასთან და მას ხელს არ აწერენ მომსახურების გამწვევი ადვოკატები, ხოლო ადვოკატებზე გაცემულ რწმუნებულებაში სხვა ადვოკატის აყვანის არანაირი საკითხი არ არის მითითებული და კონკრეტულად ადვოკატის მიერ, მოსარჩელის ინტერესები სხვა

¹ https://gba.ge/pdf/5ca1e45033a54.pdf/105_13_07.02.2014.pdf

ადვოკატის აყვანასთან დაკავშირებით არ დარღვეულა. ადვოკატს, რომელიც არის სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი, არ განუხორციელებია საადვოკატო მომსახურება სისხლის სამართლის მიმართულებით. წარმოდგენილი ხელშეკრულებით დასტურდება, რომ ადვოკატს ევალებოდა მომსახურების გაწევა მხოლოდ სასამართლოში. ამ შემთხვევაში კი, ბუნებრივია, მხოლოდ სამოქალაქო საქმის ფარგლებში დაიცავდა მოსარჩელის ინტერესებს. ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები. კლიენტმა იცოდა, რომ თუ ბაჟს სრულად არ გადაიხდიდა სასამართლო სარჩელს არ მიიღებდა. აღნიშნულით დასტურდება, რომ ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია განსახორციელებელ საპროცესო მოქმედებასთან დაკავშირებით.

დასკვნა:

განხილვის კოლეგიამ ვერ დაადგინა ადვოკატის ქმედებებში კეთილსინდისიერების, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებათა (საქართველოს კანონის 6.1, 6.2, 5(ა), აპკ-ის 8.5 და 8.6 მუხლების) დარღვევა. შესაბამისად, ადვოკატს არ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა.